ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინეს N1 საჯარო სკოლის

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი დიანა წურწუმია

გაკვეთილის თემა: მითი და სინამდვილე გალაკტიონზე

კლასი: XII

გაკვეთილის ხანგრძლივობა: 2 დაწყვილებული გაკვეთილი

მიზანი:

- ინფორმაციის მიღების, დახარისხებისა და ანალიზის უნარების განვითარება
- კრიტიკული აზროვნების, შეფასებისა და დასკვნების გამოტანის უნარი
- გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება არგუმენტირებული მსჯელობით

მედიაწიგნიერების მიზნები:

- მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება
- სხვადასხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის ანალიზი და შეფასება
- სიტყვების ძალის გაცნობიერება, მედიაპროდუქტში გამოყენებული ვიზუალური ხატების აუდიტორიაზე ზეგავლენის შეფასება.

ესგ-სთან შესაბამისობა:

მიმართულება -კითხვა

ქართ. XII.6

მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტექსტში ასახული ფასეულობებისა და შეხედულებების ერთმანეთთან შედარება

ქართ. XII.7

მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს კულტურული, სოციალური და ისტორიული ფასეულობების გავლენა ტექსტსა და მის ინტერპრეტაციაზე

მიმართულება -მოსმენა

ქართ. XII.2

მოსწავლეს შეუძლია წარმოდგენილი სასწავლო პროექტების კრიტიკულად გაანალიზება და შეფასება

მიმართულება -წერა

ქართ. XII.12

მოსწავლეს შეუძლია სასწავლო რეფერატის დაწერა რამდენიმე წყაროს მიხედვით.

გამოყენებული აქტივობები:

- ✓ გონებრივი იერიში
- ✓ წყვილური მუშაობა
- ✓ ჯგუფური მუშაობა
- ✓ დისკუსია
- ✓ სქემები
- ✓ ესე

გამოყენებული რესურსები:

- ფლიფჩარტები, დაფა
- კომპიუტერი, პროექტორი
- პრეზენტაცია, ვიდეოფილმები(ადაპტირებული), ჩანახატები
- მოსწავლეების საკითხავი მასალა
- მასწავლებლის საკითხავი მასალა

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

კედელზე გაკრულია ლექსიკონი

ტერმინი	**განმარტება**
ცინიზმი	აგდებული დამოკიდებულება ზნეობრივი ნორმებისადმი. თავხედური გულახდილობა.
სიმბოლიზმი	ანტირეალისტური, დეკადენტური მიმართულება ბურჟუაზიულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში მე-19 ს. ბოლოს და მე-20 ს. დასაწყისში.სახის შეცვლა სიმბოლოთი, ირეალური სინამდვილის ძიება, კამერულობა, მაქსიმალური ზრუნვა სიტყვაზე, მუსიკალურობის შექმნა.
მისტიციზმი(დაფარული)	ფილოსოფიური და თეოლოგიური სწავლება, რომელიც მიმართულია არაამქვეყნიურ ძალებთან კავშირის დამყარებისკენ; სწრაფვა აბსოლუტურ რეალობასთან, ღვთაებრივთან, სულიერ ჭეშმარიტებასთან ან ღმერთთან ერთიანობის მიღწევისადმი უშუალო გამოცდილების, ინტუიციის ან შთაგონების გზით; რწმენა, რომ ამგვარი

	გამოცდილება ცოდნის და შემეცნების მნიშვნელოვანი წყაროა.
რეპრესია	პოლიტიკური, ან სავარაუდო მოწინააღმდეგისადმი მიმართული უკანონო ზემოქმედება.
იმპერატიული ტონი	რაც აუცილებელ შესრულებას მოითხოვს, ბრძანებითი.

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა 1

მასწავლებელი მოსწავლეებს პოეტის სხვადასხვა რაკურსის უკეთ დასანახავად წყვილებში ურიგებს დაჭრილ ტექსტებს, რომელსაც განიხილავენ ჯერ დამოუკიდებლად, ხოლო შემდეგ ხდება ხმამაღლა მისი წაკითხვა და განხილვა სქემის მიხედვით (ტექსტიდან არ ჩანს რომელ პოეტზეა საუბარი) საჭიროებისამებრ შეგიძლიათ გაზარდოთ ან შეამციროთ წყვილთა რაოდენობა.

ტექსტი I (1-ლი წყვილი)

ქუჩაში რომ გახვიდეთ და ათ შემხვედრს საყვარელი პოეტის დასახელება სთხოვოთ, მათი უმრავლესობა . . . . . დაგისახელებდათ. . . . . კლასიკაა, მისი სტრიქონები გონებაში ,,გაგვიჯდა“, გვიყვარს...

http://www.ambebi.ge/books/38376-legendebi-da-sinamdvile-galaktionze.html

,,ჩემს . . . . .ს მე ვკითხე ერთხელ

(ის მთვრალი იყო როგორც ყოველთვის)

ბატონო . . . . . , თქვენ პირველი ხართ,

დაგვისახელეთ

მეორე პოეტი...

უცებ ჭინკებით აევსო თვალი-

თავის სიმაღლით ის იყო მთვრალი,

- საქართველოში??? - ჩაიქირქილა

და ლომურ წვერზე

მოისვა ბრჭყალი...“

მურმან ლებანიძე

ტექსტი II (მე-2 წყვილი)

რა შეიძლება . . . . . ახალი ითქვას?! მეფე პოეტის თანამედროვენი მის ხასიათსა და ფენომენს ვერ ხსნიდნენ, ბევრი ქალბატონი იჩემებდა მის მუზობას, მასზე გაცილებით უმცროსები კი დღემდე ჰყვებიან სხვადასხვა ამბავს ამ ყველასაგან განსხვავებული და უცნაური ბუნების კაცის შესახებ. ახლა ამბობენ, თბილისის ქუჩებს ორი მოხეტიალე გენია ახსოვს, ერთი ფიროსმანი იყო, მეორე კი-. . . . . ეს ორი ნიჭიერი ადამიანი სხვადასხვა ეპოქასა და ჟანრში მოღვაწეობდა, მაგრამ ალბათ მათ შორის რაღაც მაინც იყო საერთო.... http://www.ambebi.ge/books/38376-legendebi-da-sinamdvile-galaktionze.html

ტექსტი III (მე-3 წყვილი)

. . . . . და კონსტანტინე გვერდიგვერდ სხედან მწერალთა კავშირის სხდომაზე. დარბაზში სხედან, პრეზიდიუმში სხვები არიან მოკალათებულნი. ერთ-ერთი მათგანი ტრიბუნიდან ხმამაღლა ამცნობს დამსწრე საზოგადოებას რაღაც გადაწყვეტილებას და ასე იწყებს: ,,საქართველოს მწერლები და პოეტები შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს, რომ...“-ამ დროს . . . . . კოსტანტინეს გადაულაპარაკა: ,,შენ იყავი, როცა ეგ ამბავი გადაწყვიტეს?“ ,,არა, შენ?“- დაუბრუნა კითხვა კონსტანტინემ. „არა, არც მე“- ისევ წყნარად უთხრა . . . . . .

http://presa.ge/new/?m=lit&AID=2983

ტექსტი IV(მე-4 წყვილი)

. . . . . განცხადება საქართველოს განათლების კომისარს: ,,რადგან ვიმყოფები მეტისმეტად შევიწროებულ მდგომარეობაში უტანსაცმლობით და უფეხსაცმლობით, უმორჩილესად გთხოვთ, აღძრათ შუამდგომლობა... გამეხსნას კრედიტი... ტანისამოსისა და ფეხსაცმლის მისაღებად. ფულს ნაწილ-ნაწილად მიიღებენ თვით ჩემგან... იმედი მაქვს, მხედველობაში მიიღებთ ჩემს მდგომარეობას. პატივისცემით: . . . . . , 1924 წლის 24 მარტი

განკარგულება: ,,უარი ეთქვას!“ (ვახტანგ ჯავახაძის ,,უცნობი‘’)

,,4 ივლისს მე ისევ მივიღე სამასი მანეთი. მერიდება თანხას რომ მიგზავნი, შენ კი, ალბათ, უარს ამბობ ყველაფერ აუცილებელზეც კი. ეგების ჩემი გულისთვის შიმშილობ კიდეც? მაშინ ნაკლები გამომიგზავნე, გემუდარები! გალ“ http://www.24saati.ge/weekend/story/3313-galaktioni-gala

ტექსტი V (მე-5 წყვილი)

ერთხელ ჩიტი შენარცხებია მანქანის ფანჯარას. ქუთაისისკენ მიმავალ . . . . . გაუჩერებია ავტომობილი, ჩიტი დაუმარხავს და მერე ისე გაუგრძელებია გზა.

ფარცხანალაში . . . . . მასწავლებლობისას ერთი მოსწავლე გაკვეთილზე ვერ მისულა. . . . . სახლში მიუკითხავს და თავისთვის რა ჰქონდა, ბავშვის დედისთვის ფული დაუტოვებია, რადგან, ეს ბავშვი სკოლაში იმიტომ ვერ წასულა, რომ დედამისის მიერ გარეცხილ შარვალს გაშრობა ვერ მოუსწრია, ამ ფულით მეორე შარვალიც უყიდეო, უთქვამს ბავშვის დედისთვის.

http://presa.ge/new/?m=lit&AID=2983

ტექსტი VI (მე-6 წყვილი)

,,ვერაზე წიგნის მაღაზიაში ლერმონტოვს ვყიდულობდი.
- გამარჯობა ძამიკო! - მომესალმა ზურგს უკან ვიღაც. მივიხედე . . . . . იყო.
- გამარჯობათ, ბატონო . . . . . !ლერმონტოვი გამოსულა ქართულად, უნდა ვიყიდო, თქვენც ხომ არ გნებავთ?- ვკითხე და ჯიბეზე გავიკარი ხელი.
- წამოდი ძამიკო ჩემთან!-. . . . . მკლავში ხელი გამიყარა და ვერის ბაზრის გვერდით, ლუდხანაში შემიყვანა. იმ წიგნის საყიდელ ფულსაც და ბევრ სხვასაც წირვა რომ გამოვუყვანეთ, ... ლოყაზე ხელი მომითათუნა და ღიმილით მითხრა:
- ლერმონტოვი, პუშკინი და ტოლსტოი რუსულად უნდა იკითხო, ძამიკო, გალაკტიონი კი ქართულად, მხოლოდ ქართულად“ ნოდარ დუმბაძე

ტექსტი VII (მე-7 წყვილი)

გენიოსი პოეტი მისთვის უბრალოდ შვილი იყო. შვილი, რომლის გაგებაც ხშირად შეუძლებელი ხდებოდა. ერთხელ, როდესაც . . . . . უკვე 37 წლის იყო, იგი დედის მოსანახულებლად სოფელში ჩავიდა. დილით შვილის ოთახში შემოსულმა მაკრინემ უცნაური სურათი დაინახა. მშობელს მოულოდნელობისაგან გული წაუვიდა: გატუნია ფანჯარასთან იდგა და მზის სხივებს ჰაერში თავდავიწყებით კოცნიდა. http://www.24saati.ge/weekend/story/3313-galaktioni-gala

,,ჩემო ძვირფასო, ჩემო უგონო სიყვარულო! აი, მიიღე ჩემგან ეს მინდვრის ყვავილები, ისინი ნორჩებია და უტყვი, მაგრამ მაინც თავდავიწყებით მოისწრაფვიან შენსკენ. ჩემო ძვირფასო, ყოველდღიურად გადავცემ შენს მოკითხვას ჰაერის ტალღებს.“

აქტივობა 2

მოსწავლეები 3-4 წუთის განმავლობაში კრიტიკულად აანალიზებენ მოცემულ ინფორმაციას და იწყებენ პერსონაჟის შეფასებას. მასწავლებელს დაფაზე გაკრული აქვს ფლიფჩარტი, სადაც კითხვებია მოცემული, მოსწავლეებს ევალებათ პატარა ჩასანიშნ წებოვან ქაღალდებზე მოკლედ ჩამოაყალიბონ პასუხები და შესაბამის გრაფაზე მიაკრან (თითოეულ წყვილს სასურველია ქონდეს განსხვავებული სამუშაო ფურცელი).

სავარაუდო ვერსია

კითხვები	I წყვილი	II წყვილი	IIIწყვილი	IVწყვილი	Vწყვილი	VIწყვილი	VIIწყვილი
ვინ ახასიათებს პოეტს?	მურმან ლებანიძე	?	ვ.ჯავახაძე ნ.ტაბიძე	ვ.ჯავახაძე	?	ნოდარ დუმბაძე	გალაკტიონის დედა
როგორია თქვენი ხედვით პოეტი?	მისი შემოქმედება ყველას უყვარს... უყვარს დალევა... კრიტიკულად უყურებს პოეტებს	გენიალუ-რი ფენომენა-ლური უნიჭიერე-სი	სიტყვამოსწ-რებული იუმორით სავსე ცინიკოსი	ღარიბი, არ ერიდება ითხოვოს... რაც გააჩნია, იმასაც კი მეუღლეს უგზავნის, თავისთვის არაფერს იტოვებს	სულიერა დ მდიდა-რი და სათუთი სულის სამყარო უყვარდა	არის პატრიოტი და კოსმოპოლი-ტი	ბუნებასთან შერწყმული
რისთვის დასჭირდა ასე დაეხასიათე ბინა ?	მისი სიდიადის წარმოსაჩენად	დაგვენახა პოეტი სხვა რაკურსით	ეჩვენებინა ნიჭის დაუფასებ-ლობა	ეჩვენებინა გენიის დაუფასებ-ლობა მისი თბილი, სათუთი სული	გაგვეცნო, როგორც ადამიანი	დაგვენახა როგორ უნდა დავაფასოთ ნამდვილი პოეტები დაგვანახა როდის შევიგრძნობთ პოეზიის ძალას	ამ ფაქტებით ვხვდებით რატომ იყო გალა ამოუხსნელი და გენიალური

რა გავლენას ახდენს თქვენზე მოცემული ამონარიდი?	სასიამოვნოა ღიმილის მომგვრელი და საამაყო	სიამაყის	სინანულს სიბრაზეს	გინდება მოთქმით ტირილი, ყელში ბოღმა ბურთივით გეჩხირება... გინდება ვიღაცის დასჯა პოეტისთვის მოფერება	ეხ, ნეტავ დროის დაბრუნე-ბა შეიძლე-ბოდეს და მეტი სიყვარუ-ლი ჩვენც ვაგრძნო-ბინოთ	გვაფიქრებს ენის დაცვა-დაფასებაზე	კიდევ უფრო გვიყვარდება
თქვენი აზრით ვისზეა საუბარი ?	?	გალაკტონი	? გალაკტიონი	გალაკტიონი	გალაკ-ტიონი	გალაკტიონი	გალაკტიონი

სამუშაოს დასრულების შემდეგ

კითხვები	I წყვილი	II წყვილი	IIIწყვილი	IV წყვილი	V წყვილი	VI წყვილი	VII წყვილი
ვინ ახასიათებს პოეტს?							
როგორია თქვენი ხედვით პოეტი?							
რისთვის დასჭირდა ასე დაეხასიათებინა?							
რა გავლენას ახდენს თქვენზე მოცემული ამონარიდი?							
თქვენი აზრით ვისზეა საუბარი?							

აქტივობა 3. პრეზენტაციის განხილვის შემდეგ მოსწავლეები კითხვა-პასუხის რეჟიმში იხსენებენ:

- გალაკტიონის ცხოვრების ეპიზოდებს-დაბადებას, სოფელ ჭყვიშში გატარებულ ბავშვობას,
- დაქვრივებულ დედას, სულის მეგობარსა და მეუღლეს ოლღა ოკუჯავას
- ეპოქას, რომელშიც გალაკტიონს უხდებოდა ცხოვრება
- სიმბოლიზმსა და მისტიციზმს

აქტივობა 4- განხილვის შემდეგ მოსწავლეებს ვაჩვენებთ გალაკტიონის ჩანახატებს





➢

კითხვები	სავარაუდო პასუხები
როდის შეიქმნა ეს კარიკატურები?	1929 წელს
ვინ არიან თქვენი აზრით გამოხატული 1-ლ კარიკატურაზე?	ალბათ ბოლშევიკები, რომელთაც 1929 წელს დააპატიმრეს ოლღა ოკუჟავა და შუა აზიაში გადაასახლეს
რატომ ქმნიდა გალა ჩანახატებს?	როცა წერის სრული თავისუფლება არ ქონდა,აქ ხედავდა ბედნიერებას...რასაც ვერ გადმოსცემდა სიტყვებით ცენზურის გამო აქ მეტი თავისუფლება ქონდა.

აქტივობა 4. ვიფიქროთ და ვიმსჯელოთ





მხატვარი კორნელი სანაძე

სურათზე დაკვირვების შემდეგ ვსვამთ კითხვებს

1.რას გრძნობთ, როცა გალაკტიონის პორტრეტს უყურებთ? როგორია მისი სახის მიმიკა, მზერა? სულიერი მდგომარეობა?

2. როგორ შეგიძლიათ აღწეროთ პორტრეტის ფონი?

3. თქვენი აზრით, იცნობდა თუ არა მხატვარი პოეტს?

მსჯელობის შემდეგ მოსწავლეებს ვაძლევთ ადაპტირებულ ტექსტს, შესაძლებელია ინდივიდუალურად ან ჯგუფებში. მე გთავაზობთ ჯგუფებში.

პოეტი ხშირი სტუმარი ბრძანდებოდა მხატვრისა და ბატონ კორნელის გალაკტიონის პორტრეტის არა ერთი სხვა მონახაზი აქვს. ბატონმა კორნელიმ თავის დროზე მეტად მნიშვნელოვანი და მრავლისმეტყველი ფაქტი მაუწყა: ,,ერთ დილას, სრულიად მოულოდნელად თავზე დამადგა გალაკტიონი, მეტად აღელვებული იყო და საოცარი კატეგორიულობით მითხრა: კორნელი, ახლა სასწრაფოდ დამხატეო. მე არ მესიამოვნა მისი აღელვებული მდგომარეობა და იმპერატიული ტონი და გაოცებულმა ვუთხარი: ჩემო გალაკტიონ, შემოქმედი კაცი ხარ და კარგად იცი, ყველაფერს განწყობა უნდა, ასე სახელდახელოდ როგორ დაგხატო, ხვალ მოდი, დღეს ვიფიქრებ, ჩემთვის საყვარელ შენს ლექსებს კიდევ ერთხელ გადავიკითხავ, დავიმუხტები და ხვალ დილით, დადინჯებით, დამშვიდებით ვიმუშაოთ - მეთქი. გალაკტიონმა საუბარი არც კი მაცალა, დაბეჯითებით მომთხოვა, ახლავე დამხატეო. მასალის უქონლობა მოვიმიზეზე. გალაკტიონმა სტაცა ხელი იქვე მიყუდებულ ერთ სურათს, მოაბრუნა და მითხრა: თუ არ გაქვთ ტილო, აი, მეორე მხარეს დამხატეო და მკაცრად დააყოლა: ან ახლა, ან არასოდეს. ავიღე საღებავები, ფუნჯი და შემობრუნებული სურათის, მართლაც, მეორე მხარეს დავიწყე ძირითადი კონტურების შემოვლება და ვიფიქრე,შემდეგ დავასრულებ-მეთქი.

მუშაობა რომ დავამთავრე, გალაკტიონი ნერვიულად წამოდგა და კარისკენ გაემართა. გავყევი, გამიკვირდა, თავისი ქუჩის მიმართულებით კი არ გაემართა, არამედ-ვაკისკენ. გურამიშვილის (ახლა მაყაშვილის) ქუჩამდე მივაცილე და დავცილდი... თურმე სამუდამოდ. შემდეგ, როდესაც გავიგე შემზარავი ამბავი, გალაკტიონი „ლეჩკომისიის“ ფანჯრიდან გადმოშვებულაო, გავოგნდი. გონებაში უცებ აღმიდგა გალაკტიონის აღელვებული, ანერვიულებული სახე. თურმე სიკვდილი გადაეწყვიტა და უკანასკნელი პორტრეტის დატოვება სურდა. http://www.opentext.org.ge/index.php?m=57&y=2002&art=10122

აქტივობა 5- მოსწავლეებს ვაძლევთ ჯგუფებში ორ ტექსტს, რომელსაც ამუშავებენ სქემაზე

აწმყოს დიდება დიდი!

ჩემო ლექსებო , მარად

გქონდეთ მსუბუქი ფრთები...

აყვავებული მდელო,

გასაოცარ მთები!

რუსთაველი და მშვიდი?

დამშვიდება და ვაჟა?

აწმყოს დიდება დიდი

და დღეს მომავალს ვაშა!

ჩვენი სტალინის მარად

ძლევამოსილი დროშით

წინ, ახალ-ახალ ნათელ

გამარჯვებისკენ, მხარევ!

განადგურებულს ძველი

ყინვით, სუსხით და თოშით-

აწ მარგალიტად გთვლიან

სხვა ქვებში რომ ვერ გარევ!

გალაკტიონი ხედავს,

რა სასწაულებს ახდენს

ის გამარჯვება, რითაც

სუნთქავს მშობელი ერი,

იმ უბოლოოდ მედგარ

და საიმედო საყრდენს-

წინსვლას, რომელსაც ვერ სძლევს

ვერავითარი მტერი!

მოგონებები იმ დღეებისა , როცა იელვა

გამარჯვებულნი სასტიკი ხელით
აღრჩობენ ტყვეებს,
ჰკაფავენ,ხვრეტენ, ხალხის სახელით

უსპობენ დღეებს...
და მთელი კვირა სადგურის იქით
მატარებელი
იდგა, შიგ მკვდრები ეყარა რიგით
უფარებელი

აწმყოს დიდება დიდი!	
კითხვები	**სავარაუდო პასუხები**
რა არის ლექსის ძირითადი თემა?	კომუნიზმის ქება-დიდება
ვინ შეიძლება იყოს ლექსის შემკვეთი?	მმართველი რეჟიმი და პარტია
როგორ არიან დახასიათებული კომუნისტები?	კომუნისტები სასწაულებს ახდენენ,აღწევენ წარმატებებს, მათი დამარცხება არანაირ ძალას არ შესწევს

მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა	
კითხვები	**სავარაუდო პასუხები**
რა არის ლექსის ძირითადი თემა?	კომუნისტების სისატიკე,რეპრესიები
ვინ შეიძლება იყოს ლექსის შემკვეთი?	თვითონ პოეტი
როგორ არიან დახასიათებული კომუნისტები?	ახრჩობენ, ხვრეტენ, განსხვავებულად მოაზროვნე ინტელიგენციას აციმბირებენ...მათი ხელები სისხლიანი და სასტიკია

აქტივობა 5. დისკუსია

თქვენი აზრით რატომ აქებდა გალაკტიონი კომუნისტებს?

- **(დისკუსია)**

აქტივობა-6

თქვენი აზრით, რა გახდა მიზეზი გალაკტიონის თვითმკვლელობისა? (შეუძლიათ წინა აქტივობებში გამოყენებული მასალებიდან არგუმენტების მოხმობა).

მოსწავლეები მსჯელობენ თუ რა შეიძლება ყოფილიყო მისი თვითმკვლელობის მიზეზი, მოყავთ არგუმენტები და მოკლე რეპლიკებს წერენ ფერად ქაღალდებზე და აკრავენ დაფაზე.

1. დაუფასებლობა -

,,საქართველოს მწერლები და პოეტები შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს, რომ...“ - ამ დროს გალაკტიონმა კოსტანტინეს გადაულაპარაკა: ,,შენ იყავი, როცა ეგ ამბავი გადაწყვიტეს?“ ,,არა, შენ?“- დაუბრუნა კითხვა კონსტანტინემ. „არა, არც მე“ - ისევ წყნარად უთხრა გალაკტიონმა.

2. სიღარიბე -

,,რადგან ვიმყოფები მეტისმეტად შევიწროებულ მდგომარეობაში უტანსაცმლობით და უფეხსაცმლობით, უმორჩილესად გთხოვთ, აღძრათ შუამდგომლობა.

3. სათუთი ბუნება -
   - ერთხელ ჩიტი შენარცხებია მანქანის ფანჯარას. ქუთაისისკენ მიმავალ . . . . . გაუჩერებია ავტომობილი, ჩიტი დაუმარხავს და მერე ისე გაუგრძელებია გზა
   - გატუნია ფანჯარასთან იდგა და მზის სხივებს ჰაერში თავდავიწყებით კოცნიდა
4. ...

აქტივობა 6

იმისთვის, რომ მოსწავლეებმა უკეთ გაიაზრონ გალაკტიონის თვითმკვლელობის უფრო ღრმა მიზეზები, მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ნაწყვეტს ფილმიდან - საუკუნის პორტრეტები: ,,გალაკტიონი“ III ნაწილი https://www.youtube.com/watch?v=FwPIMXo1fG0

ნაწყვეტის ლინკი https://www.youtube.com/watch?v=Om_b-F6p9C8&feature=youtu.be

ნაწყვეტის შინაარსი

გალაკტიონის ჩრდილში ყოფნა ბევრი პოეტისთვის აუტანელი იყო, ამის გამო ტაბიძის შემოქმედებას თავიდანვე შურით უყურებდნენ, მას დასცინოდნენ და ხშირად ლანძღავდნენ კიდეც. ,,არტისტული ყვავილები" ლექსების უბრალო კრებულად, ხოლო „ლურჯა ცხენები" პროვინციულ სადიდებელ რომანად მონათლეს. გენიის დასამცირებლად მოშურნეებმა გალაკტიონს ,,კუხარკების პოეტიც" კი უწოდეს.

ჩვეულებრივ შურს და ბოღმას სულ მალე პოლიტიკური მოტივებიც დაემატა. 1924 წელს გალაკტიონმა ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჯანყებას პოემა მიუძღვნა ,,მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა". ჩეკამ ჟურნალ ,,მნათობში" დასაბეჭდად გამზადებული პოემა და გალაკტიონი ერთდროულად დააპატიმრა. პოეტი ციხეში სამი დღე იმყოფებოდა. გათავისუფლების შემდეგ მან საკუთარი ხმა სამუდამოდ დაკარგა.

ფილმის ჩვენება-გაანალიზების შემდეგ დაფაზე მოსწავლეები ამატებენ რა უნდა გამხდარიყო კიდევ მისი თვითმკვლელობის მიზეზი... დაფა დაახლოებით ასეთ ფორმას მიიღებს



გალაკტიონ ტაბიძე გარდაიცვალა 1959 წლის 17 მარტს. „პოეტების მეფემ“ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, რაც მნიშვნელოვნად განპირობებული იყო ოფიციოზის მისდამი გულგრილი დამოკიდებულებით.

შეკითხვა კლასს: როგორ წარმოგიდგენიათ გალაკტიონის დაკრძალვა? სავარაუდო პასუხების შემდეგ მოსწავლეებს ვუჩვენებთ ამონარიდს: https://www.youtube.com/watch?v=bZ8re9eJd2s

აქტივობა 7- ესე (მოსწავლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ გალაკტიონის ცხოვრებას, გარდაცვალებასა და დაკრძალვას)

„რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები“

შეფასების რუბრიკები:

პრეზენტაცის შეფასების რუბრიკა

N	კრიტერიუმები	დიახ	არა	ნაწილობრივ	რეკომენდაცია
1	მკაფიოდ აქვს გააზრებული პირობა, შემუშავებული აქვს პრეზენტაციის გეგმა				
2	საუბრობს თავისუფლად, იყენებს შესაბამის არგუმენტებს, ციტატებს, ავლებს პარალელებს				
3	მიზნობრივად იყენებს თვალსაჩინოებებს				
4	პასუხობს თემის ირგვლივ დასმულ ყველა შეკითხვას ამომწურავად				
5	იცავს დროის ლიმიტს, ფლობს საკომუნიკაციო უნარებს				

დისკუსიის შეფასების რუბრკა

N	კრიტერიუმები	დიახ	არა	ნაწილობრივ	რეკომენდაცია
1	ჩართულია დისკუსიაში და იცავს ყველა წესს				
2	მისი მსჯელობა არ სცდება თემას				
3	მსჯელობა არგუმენტირებულია				
4	ლექსიკა ასაკთან შესაბამისია				
5.	იცავს დროის ლიმიტს				

ესეს შეფასების რუბრიკა

N	კრიტერიუმები	
1	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული	
2	ნაშრომი კარგადაა შეკრული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი	
3	ნაშრომში გამოვლინდა ორიგინალური, არაშაბლონური აზროვნება და ერუდიცია	
4	ნაშრომში აზრი ენობრივად(ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, შერჩეულია ადეკვატური სტილი, გვხვდება ორიოდე სტილისტური ხარვეზი	
5	სინტაქსი, მორფოლოგია,ორთოგრაფია და პუქტუაცია -არ არის 2-ზე მეტი ამ ტიპის შეცდომა	

გამოყენებული ლიტერატურა:

1.ვახტანგ ჯავახაძეს ,,უცნობი“

2.მოგონებები გალაკტიონზე

3.გალაკტიონის ჩანახატები(კარიკატურები)

4. კორნელი სანაძის გალაკტიონის პორტრეტები

5. გალაკტიონის ლექსი ,,აწმყოს დიდება დიდი!“

6. გალაკტიონის ლექსი ,,მოგონებები იმ დღეებისა , როცა იელვა“

გამოყენებული რესურსები:

1. http://www.ambebi.ge/books/38376-legendebi-da-sinamdvile-galaktionze.html
2. http://presa.ge/new/?m=lit&AID=2983
3. http://www.24saati.ge/weekend/story/3313-galaktioni-gala
4. https://www.youtube.com/watch?v=bZ8re9eJd2s
5. https://www.youtube.com/watch?v=Om_b-F6p9C8&feature=youtu.be
6. https://www.youtube.com/watch?v=FwPIMXo1fG0
7. http://www.opentext.org.ge/index.php?m=57&y=2002&art=10122